

# 41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა ჩემიონს



## ძვირფასო ხობელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც ადებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა ჩემიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხობის მერობის კანდიდატისა და ხობის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხობის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხობი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზიემოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

**„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო**



# სოხის მუნიციპალიტეტი

## ეკონომიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10,7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთი შუა მაჩვენებელამდე.

### ადგილობრივი ბიუჯეტი

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ სოხის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – თუ 2013 წელს, სოხის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 10 მლნ ლარი იყო, 2021 წლის გეგმით, საბიუჯეტო ხარჯების მუხლი 21 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიც – 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 5 მლნ ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 11,2 მლნ ლარს შეადგენს. ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

### სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

სოხის მუნიციპალიტეტში, 2014-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განახორციელა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 2 პროექტი (ინვესტიცია 3 903 573 ლარი, თანამონაწილეობა 1 561 429 ლარი). პროგრამით „ახალგაზრდა მეწარმე“, 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 2 პროექტი (133 923 ლარი, თანამონაწილეობა 53 569 ლარი). პროგრამით „დანერგე მომავალი“, 2015-2021 წლებში, 262 ჰექტარზე განხორციელდა 68 პროექტი (ჯამურად 3 695 889 ლარი).

აგროდაზღვევის პროგრამით, 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 276 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 1 086 777 ლარი), რითაც 394-მა ბენეფიციარმა ისარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 11 724 ლარი გაიცა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის პროგრამით დღეისათვის მოქმედებს 7 კოოპერატივი (55 მეპაიე, კაპიტალი 126 600 ლარი). პროგრამით შეღავათიანი აგროკრედიტი, 2013-2021 წლებში, ჯამურად 17 099 692 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 2 835 811 ლარი), რითაც 173-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით 17 პროექტი ჯამურად 301 720 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 120 688 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს 3 ახალი პროგრამა: აგროწარმოების ხელშეწყობის პროგ-

რამით დღემდე 13 პროექტი განხორციელდა (ინვესტიცია 1 004 325 ლარი), ხოლო მერძეულობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის ხელშეწყობის პროგრამით 17 პროექტის განვითარებას შეეწყო ხელი (ჯამურად 809 511 ლარი, თანადაფინანსება 620 576 ლარი). „სოფლის განვითარების პროგრამით, 2020-დან 2021 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, 1 უნიკალურ ბენეფიციარს გაუფორმდა 1 ხელშეკრულება (20 000 ლარი, თანადაფინანსება 20 000 ლარი. სამელიორაციო სამუშაოებზე, 2013-2020 წლებში, 5 089 960 ლარი დაინახა. დაშრობილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 1 500-დან (2013 წელს) 4 722 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა ვეტერინარული ღონისძიება: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სახელმწიფომ აზიური ფაროსანის საწინააღმდეგოდ, სოხის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 4 892 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 14 340 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- მომავალ წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;
- ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება.

### მენარეობის განვითარება

მენარეობის განვითარება და, ზოგადად, სამენარეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მენარეობის ხელშეწყობაზე.

სახელმწიფო პროგრამით „ანარეო საქართველოში“ მხარდაჭერით, სოხის მუნიციპალიტეტში ხელშეკრულება გაფორმდა 6 საწარმოსთან, აქედან, 2021 წლის ივნისის მდგომარეობით, დაფინანსდა 5 საწარმო (ჯამურად 15 972 294 ლარი, დასაქმებულია 212 ადამიანი). მიკრო და მცირე მენარეობის მხარდაჭერი პროგრამით, „ანარეო საქართველოში“ მხარდაჭერით, 308 320 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 410 138 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 43 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოება – 26, ახალი „სტარტაპი“ 17 პროექტი).

- მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მენარეობის მხარდაჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;
- ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;
- წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.

### ენერგეტიკა

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

2014-2021 წლებში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში, აშენდა 9 ჰიდროელექტროსადგური (მაქსანია ჰესი, მესტიაჭალა 1 ჰესი, მესტიაჭალა 2 ჰესი, იფარი ჰესი, ხელრა ჰესი, ლახამი 1 ჰესი, ლახამი 2 ჰესი, კასლეთი ჰესი 2, ხელრა ჰესი), რომელთა ჯამური დადგმული სიმძლავრე 72 მგვტ-ია, წლიური გამომუშავება 296 მილიონი კვტ/ სთ.

მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 6 ჰიდროელექტროსადგური:

- სოხი ჰესი 2 – დადგმ. სიმძლავრე 46,70 მგვტ, 63 მლნ აშშ დოლარი;
- ნაკრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 7,50 მგვტ, 9 მლნ აშშ დოლარი;
- ნენსკრა ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 280 მგვტ, 1 მლრდ აშშ დოლარი;
- ჯალონ-ნამუში ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,4 მლნ აშშ დოლარი;
- ნაცეშარი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,93 მგვტ, 2,6 მლნ აშშ დოლარი;
- დარჩი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 16,9 მგვტ, 19,8 მლნ აშშ დოლარი.



ქალაქ სოხში, კოლხეთის დასახლებაში გზის რეაბილიტაცია დასრულდა

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზე შემდეგი ჰიდროელექტრო-სადგურები:

- ვედი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 24 მგვტ, 19,1 მლნ აშშ დოლარი;
- წირმინდი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 15,6 მგვტ, 13,4 მლნ აშშ დოლარი;
- ლაპლაჭალა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 12 მგვტ, 11,9 მლნ აშშ დოლარი;
- ლუხრა ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 3,5 მგვტ, 14 790 000 აშშ დოლარი;
- ხუბერი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 1,8 მგვტ, 2,24 მლნ აშშ დოლარი;
- ჭანი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 0,5 მგვტ, 0,696 მლნ აშშ დოლარი;
- დიზი ჰესი – დადგმ.სიმძლავრე 210 მგვტ, 388 მლნ აშშ დოლარი;
- ხუდონი ჰესი – დადგმ. სიმძლავრე 702 მგვტ, 776 მლნ აშშ დოლარი;

ხობის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, გაზიფიცირებულია ჯამურად 6 779 აბონენტი. 2021 წელს კიდევ 7 სოფლის (ბია, საშონიო, ზემო ბია, ზენი, ზუბი, ჯაბიშაქარი, გაღმა საჯიჯაო, გაშფერდი) გაზიფიცირება იგეგმება, რითაც დამატებით 1 272 აბონენტი ისარგებლებს. 2022-2024 წლებში დაგეგმილია 26 სოფლის (მეორე გურიფული, პირველი გურიფული, გაღმა შუა ხორგა, გამოღმა შუა ხორგა, გამოღმა პირველი ხორგა, გაღმა პირველი ხორგა, ზემო ქვალონი, პატარა ფოთი, გვიმარონი, ჭითაუშქური, საალანო-საფაჩულიო, ყორათი, ახალსოფელი, განთიადი, გაღმა ქარიატა, გამოღმა ქარიატა, ბულიში, გიმოსგონჯილი, დურღუნა, საჭოჭუო, საბაჟო, საგვიჩიო, საღვამიჩავო, საქორქიო, ყულევი, შავ-ღელე) გაზიფიცირება (დამატებით 4 850 აბონენტი). 2013-2017 წლებში 5 478 აბონენტს დაუმონტაჟდა ინდივიდუალური მრიცხველი, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ტურიზმი

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთაბეჭდილადი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს, (პანდემიამდე) 9,4 მილიონს, გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, 2014 წელს, ხობში განხორციელდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. 2016 წლიდან მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევა-დაგეგმვის პროექტი. 2017 წელს ტურისტულ რუკაზე მოინიშნა ხობის მონასტერი-ტბა-პაპანწყვირეს მიმართულების 11 400 მ-იანი მონაკვეთის საფეხმავლო მარშრუტი. ასევე აღსანიშნავია შემდეგი ღონისძიებები: ტურისტული და კულტურულ-საგანმანათლებლო ჰაბის ჩამოყალიბება; ხეთის მუზეუმისა და მიმდებარე ამფითეატრის რეაბილიტაცია; ტურისტული მარშრუტის კეთილმოწყობა; ხეთის ციხის რეაბილიტაცია.

- მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;
- 2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ხობის მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 19 ათასი კუბური მეტრი მერქნული რესურსი. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება, შათ მერ გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის შესწავლისა და გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრის მიზნით.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს, ამზადებს და ავრცელებს გაფრთხილებას მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ამავე სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

- სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;
- გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;
- ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ხობში, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 24 მლნ ლარამდე დაიხარჯა. სტიქიით დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 6,151 მლნ ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ხობის მუნიციპალიტეტის ინტერნეტით უზრუნველყოფის მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართობლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 24 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 519 ოჯახს მაღალსიჩქარიანი ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ხობის წყალმარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. ამჟამად მიმდინარეობს და 2022 წელს დასრულდება სოფელ ძველი ხიბულას წყალმარაგების სისტემის რეაბილიტაცია ( 8 875 055.00 ლარი).



2021-2022 წლებისთვის ხობის მუნიციპალიტეტში დაგეგმილია 36 უკვე განხორციელების ფაზაშია შედგენილი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- შავლელეს ადმინ. ერთეულის შიდასასოფლო გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) – 2 504 965 ლ;
- ხეთის ადმინ. ერთეულში კორცხოს უბანში გზის რეაბილიტაცია – 1 474 103 ლ;
- ხამისკურის ადმინ.ერთეულში შიდასასოფლო გზის მოწყობა (ცემენტო-ბეტონი) – 955 948 ლ;
- ხეთის ადმინ. ერთეულის სოფ.წინაგოლაში გზის რეაბილიტაცია (ასფალტო-ბეტონი) – 892 245 ლ;
- ჭალადიდის ადმინ.ერთეულის სოფ. საჭოჭუოში გზის მოწყობა – 513 157 ლ;
- ჭალადიდის ადმინ. ერთეულის სოფ. საბაჟოში სასაფლაომდე მისასვლელი გზის მოწყობა – 549 173 ლ;
- ახალსოფლისა და შუა ხორგის ადმინ. ერთეულის დამაკავშირებელი გზის (ასფალტო-ბეტონი) მოწყობა – 1 909 937 ლ;
- ხეთის ადმინ.ერთეულის სოფ. ოხვამეკარში გზის (ასფალტო-ბეტონი) რეაბილიტაცია – 327 680 ლ;
- ქ. ხობში, კოლხეთის დასახლებაში, შესასვლელი გზის (ასფალტო-ბეტონი) რეაბილიტაცია – 292 804 ლ;
- ქვემო ქვალონის ადმინ. ერთეულისა და სენაკის მუნიციპალიტეტის ზემო ჭალადიდის ადმინ. ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია – 805 150 ლ;
- საჯიჯაოს ადმინ. ერთეულის ცენტრიდან მდინარე ჭანისწყლის ხიდამდე გზის რეაბილიტაცია – 803 025 ლ;
- საჯიჯაოს ადმინ. ერთეულში შიდასასოფლო გზის მოწყობა (ცემენტო-ბეტონი) – 514 415 ლ;
- ხამისკურის ადმინ. ერთეულში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია – 160 229 ლ;
- ნოჯიხევის ადმინ.ერთეულის სოფ. კუთხე ნოჯიხევიში გზის რეაბილიტაცია – 460 320 ლ;
- ქვემო ქვალონის ადმინ.ერთეულის სოფ. გიმოზგონჯილში ხიდის რეაბილიტაცია – 84 500 ლ;
- ხეთის ადმინ. ერთეულის სოფ. ოხვამეკარში წყლის სისტემის რეაბილიტაცია – 127 000 ლ;
- ქ. ხობში №2 ადმინისტრაციული შენობის ოთახების რეაბილიტაცია – 62 062 ლ;
- ხობის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის ფასადის რეაბილიტაცია -192 967 ლ;
- ქვემო ქვალონის ადმინ. ერთეულის სოფელ გიმოზგონჯილში სანიაღვრე არხების გაწმენდა – 97 777 ლ;
- საჯიჯაოს კულტურის სახლის რეაბილიტაცია – 128 264 ლ;
- ახალი ხიბულის ადმინ. ერთეულის საგარდოს უბანში სასოფლო გზის რეაბილიტაცია – 1 336 438 ლ;
- ჭალადიდის ადმინ.ერთეულში სასოფლო გზის რეაბილიტაცია ცენტრიდან მდ. ჭანისწყლის ხიდამდე – 1 159 234 ლ;
- ხობის ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია – 3 500 665 ლ.

# დავით ბუკია: „ჩემი მთავარი გეგმაა, ხობელეების სამსახურში ვიყო“

ისეთი კაცის შვილიშვილი და მოსახელაა, ვისაც ხობში კარგად იცნობენ. ბატონი დავით ჯანაშვილი, 30 წელი მოსამართლედ მუშაობდა და „საუკეთესო სამსახურის“ საპატიო ადგილს იკავებდა. ხობში კარგად იცნობენ მასაც და მის მშობლებსაც – მამა, გიორგი ბუკიას სხვადასხვა დროს, ხობში, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა. დედა, ვარდო (ზაირა) ბუკია კი, კეთილშობილებითა და სათნობითაა ცნობილი. მშობლები დღემდე ხობში ცხოვრობენ. პროფესიიდან გამომდინარე, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მუნიციპალიტეტში, ბოლოს კი ფოთში მოუწია მუშაობა, მაგრამ ხობთან ურთიერთობა არასდროს გაუწყვიტია.

ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძველის, მათ შორის მისი მშობლიური მუნიციპალიტეტის განვითარება შესაძლებელი გახდა და მასაც გაუჩნდა სურვილი, ამ პროცესში თავისი წვლილი შეიტანა. მერობის კანდიდატი დავით ბუკია იმასაც გვიხსნის, რა გეგმები აქვს ხობის მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით.

**– ბატონო დავით, მუნიციპალიტეტში თქვენი ოჯახი რით არის ცნობილი და ხობში როგორი ბავშვობა გაატარეთ?**

– ხობში დავიბადე და გავიზარდე. ჩემს ოჯახს მუნიციპალიტეტში კარგად იცნობენ. განსაკუთრებით, ბაბუას, დავით ჯანაშვილს, რომელიც მოსამართლე გახლდათ. მაშინ ეს თანამდებობა არჩევითი იყო და ბაბუამ მოსამართლედ 30 წელი იმუშავა. ეს მის პროფესიონალიზმსა და სამართლიანობაზე მეტყველებს. ხობში კარგად იცნობენ ჩემს მშობლებსაც: მამა, გიორგი ბუკია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა. უაღრესად კეთილშობილი და სამართლიანი დედა, ვარდო ბუკია კი, დიასახლისია. მყავს უფროსი და, მარია ბუკია – პროფესიით ექიმი და ოჯახის ექიმად მუშაობს. იურისტ ომარ ჯაიანზა გათხოვილი. ორი არაჩვეულებრივი შვილი ჰყავს: დავითი, რომელიც თბილისის მერიის მუშაობს და ლაშა, რომელიც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორია. ხობში ძალიან ლაღი ბავშვობა მქონდა. ჩვენს ოჯახში სწავლის კულტი იყო. შესაბამისად, კარგი მოსწავლეები ვიყავით. მიუხედავად ამისა, ცელქიც გახლდით. მაშინ კომპიუტერი და ინტერნეტი არ იყო, ბურთით ვერთობდით. ჩემი ცელქობის მაქსიმუმიც ეგ იყო – ზოგჯერ, ფეხბურთის სათამაშოდ გავიპარებოდი ხოლმე. სპორტის ეს სახეობა ძალიან მიყვარდა. კარგი მონაცემებიც მქონდა. ხობშიც ვთამაშობდი

და სოხუმშიც, სტუდენტობის დროს. მიუხედავად ამისა, სპორტულ კარიერაზე არასდროს მიფიქრია. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე ჩავაბარე. სამხედრო სავალდებულო სამსახურიც მოვიხადე და ჯარიდან დაბრუნების შემდეგ, სწავლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავაგრძელე.

**– იურიდიული განათლების მიღება თქვენი მოსახელე ბაბუის გავლენით გადაწყვიტეთ? თქვენც მოსამართლეობაზე ხომ არ ოცნებობდით?**

– ბაბუა მართლაც საოცარი პიროვნება იყო. მიხარია, რომ მის სახელს ვატარებ. „სამეუღლე“ შედიოდა – ასე ეძახდნენ მაშინ იმ მოსამართლეთა სიას, რომელთა განაჩენიც არ გაუქმებულა. გავლენა, ცხადია იყო. მახსოვს, პატარა ვიყავი და მის ინტერვიუში ასეთი პასაჟი ვნახე: „თუ ჩემი პატარა დავითი ჩემს გზას გააგრძელებს, ეს ჩემი იდეალების გამარჯვება იქნება“. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე. მოსამართლე არ გავხდი, მაგრამ სხვადასხვა დროს ვიყავი გამომძიებელი, პროკურორის თანაშემწე და შემდეგ უკვე ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურში ვიმუშავე სხვადასხვა თანამდებობაზე, ბოლოს რეგიონის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

**– საკმაოდ საინტერესო კარიერა გაქვთ. წინსვლაში რა პიროვნული თვისებები დაგეხმარათ?**

– უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ფოთის რეგიონულ



დაიბადა 1968 წლის 24 აპრილს, ხობში.  
1974-1985 წლებში სწავლობდა ქ. ხობის №1 საშუალო სკოლაში; 1985-1986 წლებში – აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე; 1988-1992 წლებში – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე; 1997-2001 წლებში – ქ. ფოთის დამოუკიდებელ უნივერსიტეტში – ეკონომისტი კვალიფიკაციით საბაჟო საქმის სპეციალიზაციით.  
1993-1994 წლებში იყო გამომძიებელი რეგიონულ სამხედრო პროკურატურაში; 1994-1999 წლებში ქ. ფოთის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი; 1999-2003 წლებში – ქ. ფოთის პროკურორის თანაშემწე; 2003-2013 წლებში – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურის საგამომძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს – უფროსი ინსპექტორ-გამომძიებელი; 2013-2014 წლებში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს უფროსი; 2014-2018 წლებში – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო სამსახურის საგამომძიებო დეპარტამენტის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს უფროსის მოადგილე; 2018-2021 წლებში – ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.  
ფლობს გერმანულ და რუსულ ენებს.  
ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

სამხედრო პროკურატურაში გამომძიებლად დავიწყე მუშაობა. ეს ჩემი პირველი სამსახური იყო. მაშინ სამხედრო პროკურატურა ახალშექმნილი იყო. მუშაობა საკმაოდ რთულ პერიოდში მომინია – ქვეყანაში არეულობის დროს, არანაირი პირობები არ გვქონდა, არც

საწვავი, არც ქაღალდი... მაშინ საოცრად ემოციური პერიოდი იყო. ეროვნულ მოძრაობაში იყო ძალიან ბევრი ჩემი მეგობარი, მათთან ერთად ხშირად ვმონაწილეობდი აქციებში. ვფიქრობ, ქვეყნისთვის გადამწყვეტ ნებისმიერ პერიოდში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ყველამ პატიოსნად აკეთოს თავისი საქმე, სწორედ ამიტომ, ჩემს საქმეს ყოველთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობითა და ენთუზიაზმით ვასრულებდი. ძალიან ბევრმა საქმემ გაიარა ჩემს ხელში. მაშინ ისეთი მძიმე დანაშაულები იყო, მკვლელობა, ყაჩაღობა... მიუხედავად ამისა, ყველა მეორე საქმე მე მეტარა და ვიძიებდი. ყველა საქმე რეზონანსული და საინტერესო იყო.

**– როგორც იურისტმა მიპასუხეთ – დღეს ქვეყანაში ადამიანის კონსტიტუციური უფლებები დაცულია?**

– გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე წელია ძალიან სტრუქტურულად ადარ ვარ, გიპასუხებთ როგორც რიგითი, პროფესიით იურისტი ადამიანი – ადამიანის კონსტიტუციური უფლებები დღეს ყველაზე მეტად არის დაცული და განმტკიცებული. ყველას აქვს გამოხატვის, სიტყვის თავისუფლება. ქუჩაში ადარ ძალადობენ, არ აყაჩაღებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამართალდამცავებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი ეფექტიანად მუშაობი-



41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

სათვის. დამწყებ ოპერატიულ თანამშრომელს თუ გამომძიებელს, თანაბრად აქვს შესაძლებლობა აიმაღლოს კვალიფიკაცია, მიიღოს სრულყოფილი განათლება, გაიაროს სათანადო პრაქტიკა და საბოლოოდ, დაინაწიერდეს კიდეც.

**- დეპოლიტიზირებულებიც არიან?**

- ჩემი შეფასებით, სამართალდამცავი სტრუქტურები და გამოძიება არის აბსოლუტურად დეპოლიტიზებული. შემიძლია გულწრფელად გითხრა, რომ რაიმე ტიპის დავალება, ჩემი საქმიანობის არცერთ ეტაპზე, არ მიმიღია.

**- თუ ასეა, სამსახურიდან რატომ წამოხვედით 2012 წელს?**

- იმიტომ, რომ ჩემი შეხედულებები არ ემთხვეოდა მაშინდელი ხელისუფლების შეხედულებებს, შესაბამისად, ჩემს ადგილს ვეღარ ვხედავდი იმ სისტემაში და გადავწყვიტე, ჩემი მომავალი საქმიანობისთვის ასე ავობებოდა. პროკურატურიდან წამოვდი, მაგრამ მაინც საგამომძიებო-ოპერატიული მიმართულებით გავაგრძელე საქმიანობა. მეორე პროფესიასაც დავუფიქრე - ეკონომიკური ფაქულტეტი დავამთავრე, საბაკო საქმის სპეციალობით, რამაც განსაკუთრებით გამიმარტივა შემდგომი საქმიანობა, ვინაიდან, მეტწილად მიწვევდა საბაკო, საგადასახადო დანაშაულებზე მუშაობა, სწორედ ჩემი ცოდნა დამეხმარა ჩემი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულებაში. გარკვეული პერიოდი, პარლამენტის აპარატში, მაჟორიტარის ბიუროს უფროსიც ვიყავი და ბოლოს - ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე.

**- სამართალდამცავ სფეროში მუშაობის შემდეგ, პოლიტიკური აქტიურობა რატომ გადამწყვიტეთ?**

- ჩემი და „ქართული ოცნების“ პრინციპები, ღირებულებები, თანხვედრაში მოვიდა. „ქართული ოცნება“ არის გუნდი, რომლისთვისაც ამოსავალი წერტილი და მთავარი ღირებულება, არის ადამიანი და მისი კონსტიტუციური უფლებები. გარდა ამისა, ბევრი ჩემი მეგობარი იყო პოლიტიკაში, კონკრეტულად „ქართული ოცნებაში“. ვიცი, რომ მათი მთავარი მიზანი საქმის კეთება და ქვეყნის განვითარებაა. მეც გამიჩინდა, სურვილი, რომ ამ პროცესში ჩემი მოკრძალებული წვლილი შემეტანა. პოლიტიკაში უფრო მეტი ასპარეზია. აქ მეტად მეძლევა შანსი, ის ცოდნა და გამოცდილება, რაც წლების განმავლობაში დამიგროვდა, გამოვიყენო ჩემი მუნიციპალიტეტის კეთილდღეობისათვის. პოლიტიკური ასპარეზი მაძლევს შესაძლებლობას, მეტად მოვეფიქრო ჩემს ხობელებს, მეტად გამოვადგე და მეტი კარგი საქმე გავაკეთო ჩემი ხალხისა და მუნიციპალიტეტისათვის.

**- რა გამოწვევის წინაშე დგას დღეს ხობი და რა გეგმები გაქვთ მშობლიურ მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით?**

- მთავარი გეგმაა, ვიყო ჩემი ხობელების სამსახურში. ყველა სოფელში, მხოლოდ ადგილობრივ მოსახლეობასთან მუდმივი კომუნიკაციით, მათთან შეხვედრებით, საუბრით დავსახავ გეგმებს და ყველა საკითხს ერთად, მათი საჭიროებებიდან გამომდინარე გადავჭერთ. მთავარი გამოწვევა, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, 24-საათიანი წყალმომარაგების გაყვანა და გაზიფიცირებაა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველა ამ მიმართულებით, ხელისუფლება უკვე დგამს მნიშვნელოვან ნაბიჯებს. მასშტაბური სამუშაოები უკვე დაწყებულია და ეს პროექტები, აუცილებლად უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. ჩემი პრიორიტეტი იქნება ახალგაზრდების ხელშეწყობა და გარემო შემოკრება. მინდა სოფლების რწმუნებულებთან ერთად აღვრიცხო ადგილობრივი, წარჩინებული კურსდამთავრებულები

და შევხვედე მათ. უნდა ვეცადოთ, რომ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა დაუბრუნდეს ხობის მუნიციპალიტეტს. ამისთვის კი, აუცილებელია, ხობში შეიქმნას მეტი სამუშაო ადგილი, რაც ბიზნესის ხელშეწყობითაა შესაძლებელი. მათ მუნიციპალიტეტშიც შევთავაზებთ დასაქმებას. პირობებიც უნდა შევუქმნათ - ხობში პარკის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი უკვე დასრულდა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს იქნება ახალგაზრდებისთვის ძალიან მიმზიდველი და თავშეყრის საყვარელი ადგილი, გაკეთდება სპორტული მოედნები, ახალგაზრდებს ექნებათ საშუალება, თავისუფალი დრო სურვილის შესაბამისად გამოიყენონ, სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურდნენ. ხობს ძალიან დიდი ისტორია აქვს წარმატებული პროვინციების და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც, არაერთი წარჩინებული ადამიანით იამაყებს. ახალგაზრდებზე გავაკეთე აქცენტი, მაგრამ თითოეული ხობელის ინტერესების დაცვა არის ჩემთვის უმნიშვნელოვანესი. მათი კეთილდღეობისათვის თავდაუზოგავად ვიმშრომებ.

**- ინფრასტრუქტურა და სამუშაო ადგილები... კიდევ რით უნდა გახდეს ხობი მიმზიდველი და ზოგადად, მუნიციპალიტეტს, განვითარების რა პერსპექტივა აქვს?**

- ხობის მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივა არის სოფლის მეურნეობა. სხვათაშორის, პანდემიის პირობებში, არაერთი ოჯახი დაუბრუნდა ფესვებს. მიწის დამუშავება დაიწყო. ძალიან ბევრი სახელმწიფო პროგრამაა, რომლითაც ხალხი სარგებლობს და კმაყოფილია. არის მოცვის პლანტაციები, ფერმები. სახელმწიფო, შესაძლებლობების ფარგლებში, ყველანაირ პირობას ქმნის, რომ ადამიანებს დაეხმაროს, რათა მათი კეთილდღეობის დონე ამაღლდეს.

**- ამ კმაყოფილებას მოსახლეობა გამოსხატავს თქვენთან შეხვედრებისას და თქვენ თუ გიცხადებენ მხარდაჭერას?**

- დიახ, გამოხატავენ კმაყოფილებას. ჩვენ არ ვხვდებით მათ იმ განწყობით, რომ ყველაფერი იდეალურადაა, რადგან ვიცით, რომ გამოწვევა ჯერ კიდევ ბევრია და ამიტომაც, ბევრი უნდა ვიმშრომოთ, პრობლემური საკითხების გადასაჭრელად. მათი მხარდაჭერის იმედი მაქვს. დარწმუნებული ვარ, ეს არჩევნები წარმატებით დასრულდება, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, მეც დამიჭერენ მხარს და მომეცემა შანსი, ჩემი მშობლიური ხობის განვითარებაში წვლილი შევიტანო.

**- სამეგრელო ყოვლთვის გამოირჩევა განსაკუთრებით „ცხელი არჩევნებით“. თქვენი პროგნოზით, ოპოზიცია პროცესში დაძაბულობას თუ შემოიტანს და ზოგადად, როგორ არჩევნებს ელოდებით ხობში?**

- მე ამ ძალებს ვერ ვუნოდედი ოპოზიციას. ჩემი რწმენით, ოპოზიცია არის ოპოზიციურად განწყობილი ჯანსაღი პარტია, რომელიც სახელმწიფოებრივად აზროვნებს და საქმის კეთებისკენ, ქვეყნის განვითარებისკენ არის მიმართული. ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანების გუნდს, მე დესტრუქციულ ძალად მივიჩნევ, რომელსაც სურს სახელმწიფოში არეულობა შემოიტანოს, რათა შემდგომში ამგვარი ვითარება სათავისოდ გამოიყენოს. ეს ჩემმა ხობელებმაც ძალიან კარგად იციან - ხალხი ბრძენია! რაც უნდა მოიმოქმედონ, დარწმუნებული ვარ, 2021 წლის 2 ოქტომბერს, ქვეყანაში დემოკრატიული, გამჭვირვალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება. ამ არჩევნებში კი, დესტრუქციულ ძალებს, რაიმე წარმატების მიღწევის არანაირი შანსი არ აქვთ. ასე რომ, ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!



**დავით ბუკიას დიდი ოჯახი და მთავარი მიზანი**

როცა ვკითხე, მომავალი მეუღლე სად და როგორ გაიცანით-მეთქი, გაეცინა და ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ გაახსენდა. ის ეპიზოდი, ზურჩკელა საკუთარ ლექსს რომ წაიკითხავს და ილიკო ჩიგოგიძე ეტყვის, ქარი თუ იყო, თოვლი თუ იყო და ქვეყანა თუ იქცეოდა, შენ რა გიხაროდო. სოფიო გოგია მაშინ გაიცნო, ქვეყანა რომ აირია. სიყვარულის არც დრო იყო და არც ხალხის, მაგრამ...

პირველი შეხვედრა ფოთში შედგა. თავიდანვე მოეწონა. მალე მათი ურთიერთობა, დიდ გრძნობაში გადაიზარდა და დაქორწინება გადაწყვიტეს. წლებია ერთმანეთს მხარში უდგანან. ლხინიც ბევრი ნახეს, სირთულეებიც გადალახეს, მაგრამ ურთიერთობაში ბზარი არ გასჩენიათ. „მეუღლე ჩემს რეჟიმს მიჩვეულია, იცის რომ საქმიანობიდან გამომდინარე, სამწუხაროდ, ოჯახისთვის ყოველთვის ცოტა დრო მრჩებოდა. არ მსაყვედურობს. ნამდვილი გმირია“ - ამბობს ბატონი დავითი და იმასაც გვიმხელს, რომ მისი ოჯახის სიმტკიცის საიდუმლო დიდი სიყვარულია. ქალბატონი სოფიო პროფესიით ბიოლოგია და ფოთის მუნიციპალიტეტში მუშაობს.

წყვილს ორი შვილი ჰყავს. მარიამ ბუკია იურისტის პროფესიას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაეუფლა. წელს მაგისტრატურაც დაამთავრა. უმცროსი გიორგი კი, ჯერ სკოლის მოსწავლეა. ფოთში სწავლობს, მაგრამ მამის გამარჯვების შემთხვევაში, შესაძლოა, ხობში მოუწიოს სწავლა. აქ ძალიან კარგი სკოლაა, მე დავამთავრე და არავისზე ნაკლები განათლება არ მიმიღიაო, ამბობს კანდიდატი. გიორგი სროლით არის გატაცებული და ძალიან უყვარს, მამასთან ერთად, ტირში სიარული. არ არის გამორიცხული, მესტენდურიც გამოვიდეს. სხვათაშორის, მიზანში სროლა კანდიდატსაც კარგად გამოსდის და რამდენიმე სერტიფიკატაც აქვს მიღებული.

როგორც კი დრო გამოუთავისუფლდება, გული ოჯახისკენ მიუწევს. ოჯახის წევრების გარეშე დიდხანს ვერ ვძლებო, ამბობს.

მეუღლე და შვილები, საარჩევნო მართობში გვერდით უდგანან, ამხნევენ და გულშემატკივრობენ. მისმა გადაწყვეტილებამ, ებრძოლა ხობის მერობისთვის, ყველაზე მეტად მშობლები გაახარა - ხობში ცხოვრობენ და გამარჯვების შემთხვევაში, შვილი უმეტესად მათთან იქნება. თუმცა, არის კიდევ ერთი, მთავარი მიზეზი - იციან, ბატონი დავითი ხობისთვის ბევრ კარგ საქმეს გააკეთებს. მერობის კანდიდატის მთავარი მიზანაც ესაა - ხობელებს ისე უნდა დაამახსოვროს თავი, რომ ოჯახის თითოეულმა წევრმა მისით იამაყოს. ამის შესაძლებლობა კი 2 ოქტომბრის შემდეგ აუცილებლად მიეცემა, რადგან სჯერა, ხობელები მხარს დაუჭერენ.

# ჯანმრთელობის დაცვა

**„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უნივერსალურადაა პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი.**

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება. 2013 წელს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99,9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლნ ლარზე მეტი გამოიყო. **2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ხობის მუნიციპალიტეტზე, გამოყოფილია 28 563 440 ლარი, დაფინანსდა 89 687 შემთხვევა, მათ შორის: გეგმური ამბულატორიული (1 765 591,7 ლარით 135 578 ბენეფიციარი), გადაუდებელი ამბულატორიული (6 133 109 ლარით 68 443 შემთხვევა), გადაუდებელი სტაციონარული (14 613 279 ლარით 12 549 შემთხვევა), გეგმური ქირურგიული (3 916 704 ლარი 3530 შემთხვევა), მშობიარობა და საკეისრო კვეთა (1 439 393 ლარით 2338 შემთხვევა) და ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია (1 220 731 ლარით 2 198 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

**ქრონიკული დაავადების მქონე მონყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა** ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში, პროგრამით, **ხობის მუნიციპალიტეტში** დაფინანსდა 3 271 ბენეფიციარი. 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება**, მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24,1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ხობში** 94%-დან 98,3%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

**ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით** განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ხობში**, სტაციონარული მკურნალობით 237-მა (65 674 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 2 239-მა პაციენტმა (221 853 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13,1/100 000



ცოცხალშობილებზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მუავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ანტენატალური სერვისის მიმღებია 2843 ორსული (149 373 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 623.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილდაის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ხობის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 592 პირი (237 732 ლ).**

2012 წლის შემდეგ, **ხობის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში**, მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის

ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების**



**პროგრამის განვითარების შედეგად**, გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ხობში**, 2013-2021 წლებში, სულ 312 შემთხვევა 599 047 ლარით დაფინანსდა. **2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მონყობა**. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი**; 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხობის მუნიციპალიტეტს 38 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

### ინფრასტრუქტურული პროექტები

**2014-2020 წლებში, ხობის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა/მიმდინარეობს შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:** საექიმო ამბულატორიების რეაბილიტაცია/მონყობა ადმინისტრაციულ ერთეულებში: ახალი ხიბულა (22 989 ლ), პირველი მაისი (20 125 ლ), ძველი ხიბულა (10 306 ლ), ხამისკური (31 004 ლ), საჯიჯაო (31 265 ლ), გამოღმა-შუა ხორგა (16 000 ლ), ამბულატორიის

მოსაწყობად ფართის რეაბილიტაცია ზემო ქვალონსა (29 896 ლ) და ქვემო ქვალონში (86 325 ლ); ქ. ხობში სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სამუშაოები (270 000 ლ). **დაგეგმილია** ამბულატორიების რეაბილიტაცია პატარა ფოთის, ახალსოფლისა და თორსა-დღვანის, ხოლო მშენებლობა ხეთის, ნოჯიხვისა და ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება**. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 182,7 ათასი ლარი შეადგინა (2013 წ. – 99,4 ათასი ლ). ხობის ბიუჯეტი აფინანსებს ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალურ პროგრამასა და ქვეპროგრამას „საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება“.

### ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა:

- გაიზარდა მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის ხარისხიან სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზარდა ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზარდა სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზარდა სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზარდა მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- მუნიციპალიტეტი ხელს შეუწყობს დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარებას;
- მუნიციპალიტეტი განახორციელებს მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობას, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების ქმედით მონიტორინგს და მათზე რეაგირებას.









# კულტურა, სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, 2012 წლის ოქტომბრიდან, საქართველომ მიაღწია არსებით წინსვლას, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურის განვითარებას, ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობასა და აღდგენა-რესტავრაციას, ევყანაში სპორტის განვითარებასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. ახალგაზრდული პოლიტიკის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას.

2014-2021 წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა სასოციალური ჩართულობის კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართება ახალი წიგნების პრეზენტაციები, შემეცნებითი ვიქტორინები, ლიტერატურული საღამოები, გასვლითი პროექტები სკოლებსა და საბავშვო ბაღებში, თემატური საუბრები, ლიტერატურული საღამოები, ტრადიციული ღონისძიება – „ღამე მუ-

ათასი ლარი); 2017 წელს – სოფელ ზემო ქვალონის წმ. გიორგის ეკლესიის რეაბილიტაცია, რაზეც 226,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

ძველ ხიბულაში, ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით, განხორციელდა ზვიად გამსახურდიას მემორიალური სახლის სრული რეაბილიტაცია. ასევე ხიბულაში, „ქართუს“ დაფინანსებით, მიმდინარეობს სამონასტრო კომპლექსის მშე-

## კულტურა

ხოების მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური სიმღერის მუზეუმი, ხეთის მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმი, ალ. მირცხულავას სახელობის ლიტერატურის მუზეუმი „სამეგრელო“, თედო სახოკიას სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა, 12 სასოფლო ბიბლიოთეკა (ხეთა, ხამისკუმი, თორსა, 1 მაისი, საგვიჩიო, ჭალადიდი, შუა ხორგა, ქვემო ქალონი, საჯიჯაო, ზუბი, ახალი ხიბულა და ძველი ხიბულა), კულტურის სახლები (ხოების, საჯიჯაოსა და ქვემო ქვალონის), 7 სასოფლო კლუბი (ბია, ახალი ხიბულა, ზუბი, პირველი ხორგა, თორსა, ყულევი და პირველი მაისი), ხოების მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი, კომპიუტერული სწავლებისა და მომსახურების ცენტრი, კულტურის სასახლე (ფოლკლორული ანსამბლი „კოლხეთი“, თეატრალური წრე/ერთი მსახიობის თეატრი, სამუსიკო სკოლა, სამუსიკო სტუდია „აისი“, საექსტრადო სიმღერის შემსწავლელი წრე).

მუნიციპალიტეტში განხორციელდა ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, რომლებმაც რადიკალურად შეცვალეს კულტურის სფეროს მომსახურებისა და ლოკაციის ადგილები. 2013 წელს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა სფეროს მუნიციპალური პოლიტიკის განმახორციელებელი რამდენიმე არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი. გატარებული რეფორმის შედეგად ა(ა)იპ „კულტურის ცენტრი“ და ა(ა)იპ „განათლების ცენტრი“ გაერთიანდა და ახალ გაერთიანებულ სტრუქტურას ფუნქციონირება დაემატა საგამომცემლო საქმიანობა (გამოცემა გაზეთი „ხოების მოამბე“), მასვე შეუერთდა ყოფილი პროფსასწავლებლის სახელოვნებო და სახელობო-შემოქმედებითი სპეციალობები. შედეგად ჩამოყალიბდა ა(ა)იპ „ხოების მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრი“.

ა(ა)იპ „ხოების მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებრივი ცენტრისა“ და ადგილობრივი მერიის თანადგომით, არაერთი კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიება განხორციელდა. მათ შორისაა: დედი-სა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილისა და ფაშიზმზე გამარჯვების წლისთავისადმი მიძღვნილი პროექტები, პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას დაბადების დღის აღნიშვნა, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა სსოვნისადმი მიძღვნილი რეჟიემი, საზეიმოდ აღინიშნა 26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის გაიმართა კონცერტი მოწვეული ცნობილი სახეების, ჯგუფებისა და დიჯეის მონაწილეობით. ასევე, ბავშვთა საერთაშორისო დღეს ხორციელდება სხვა-



დასხვა აქტივობები, დაუნის სინდრომის მსოფლიო დღისა და შშმ პირთა დღეების აღნიშვნა. სამუსიკო, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრში, ტრადიციისამებრ, სასწავლო წლის დასასრულს იმართება შემაჯამებელი აკადემიური კონცერტი და გამოსაშვები გამოცდები. სალოტბარო სკოლის მგალობელთა გუნდმა, ქორეოგრაფიულმა და ფოლკლორულმა ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის კონკურსებსა და ფესტივალებში. საფუძველი ჩაეყარა სახალხო დღესასწაულს – „მე მიყვარს ხობი“. ყოველწლიურად ტარდება ეროვნული დღესასწაული „ცოტნეობა“. საახალწლო-საშობაო კვირეულის ფარგლებში, იმართება ღონისძიებები სამუსიკო სკოლასა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში. კულტურის ცენტრმა მოაწყო „ნაძვის ხის ზეიმი“ და საახალწლო კონცერტი მოწვეული ცნობილი მუსიკალური ჯგუფისა და ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით.

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ძუკუ ლოლუას სახელობის ქართული ხალხური დიდებისა და მუზეუმსა და ხეთის მხარეთმცოდნეობისა და საბრძოლო დიდების მუზეუმში, გაიმართა თვითნასწავლი მხატვრისა და ფოტოგრაფის ნახატების და ფოტონა-მუშევრების, ხალხური რეწვის ნიმუშების გამოფენა-დათვალიერება. ხოების (ხეთის) საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში „მაჩხომერისა“ და „ჯეგეთას“ არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არტეფაქტები გამოიფინა.

ზეუმში“, რეწვისა და ხალხური ნიმუშების გამოფენა, ტარდება მნიშვნელოვანი თარიღებისა და ღვანდომოსილი ადამიანებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მუსიკალური კონკურსები და კონცერტები, ეწყობა გამოფენები. დაიდგა პრემიერები (სპექტაკლები: „ჯასტაგანი“ და „მავთულხლართი“, საბავშვო თეატრალური დასის პრემიერა, ერთი მსახიობის თეატრის პრემიერა; თოჯინების სპექტაკლის პრემიერა), გაიმართა ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“ (ანიმაციური ხელოვნების განვითარება საქართველოში, ქართული ხელოვნების ინტეგრაცია მსოფლიოში). „ანიმაციის განვითარების ფონდის“ ორგანიზებით, ხობელმა მოსწავლეებმა, პროფესიონალ ანიმატორებთან ერთად, ანიმაციური ფილმის შექმნაზე იმუშავეს, გაეცნენ ანიმაციის ტექნოლოგიებსა და კომპიუტერულ პროგრამებს; სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს კონკურსში – „სამეგრელოს ვარსკვლავები“ (ვალერიან შიუკაშვილი პატრონაჟით) და სხვ.

2015-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობარეაბილიტაციის პროექტები. მათ შორის:

2015-2016 წლებში, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით, ქ. ხოების კულტურის სასახლეს ჩაუტარდა რეაბილიტაცია (738,8 ათასი ლარი), 2017 წელს კი კულტურის სასახლის რემონტის მეორე ეტაპის სამუშაოებს 349,8 ათასი ლარი მოხმარდა; 1 მაისის ადმინისტრაციულ ერთეულში ბიბლიოთეკის სარემონტო სამუშაოებზე 16,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

2015-2017 წლებში, განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის – ხოების მონასტრის საეპისკოპოსო სასახლის სრული რეაბილიტაცია (491

ნებლობა – შენდება სამრევლო სკოლა და პარკი. ხიბულაში მიმდინარე პროექტების მშენებლობაზე, „ქართუ“ ფონდიდან, ჯამურად, 6 მლნ ლარზე მეტი იხარჯება.

2020-2021 წლებში – საჯიჯაოს კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საერთო ჯამში, 128,3 ათასი ლარი დაიხარჯა.

2021 წლის იანვრიდან სამუსიკო სკოლა გახდა უფასო.

## სპორტი

ხოების მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „კოლხეთი“ (21 ფეხბურთელი 3 მწვრთნელი (1 – A ლიცენზია; 1 – B ლიცენზია, 1 – C ლიცენზია) და სასპორტო სკოლის ასაკობრივი ჯგუფები (141 მოსწავლე, 9 მწვრთნელი (4 – C ლიცენზია; 4 – B ლიცენზია; 1 – A ლიცენზია). ქალთა გუნდი (მწვრთნელი: 2 ლიცენზია B-C; ფეხბურთელი – 20); ასპარეზობს ქალთა უმაღლეს ლიგაში.

2020 წელს სპორტის სფეროს ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 231,2 ათასი ლარით განისაზღვრა.

2021 წლისთვის საზოგადოებრივ ცენტრში, სპორტის 14 სახეობაში, 228 სპორტსმენი და 17 მწვრთნელი (მათ შორის, 5 – საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი) გაერთიანებული.

საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ძირითადი გუნდის დაფინანსებას ახორციელებს საქართველოს ფეხბურთის განვითარების ფონდი, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით ფინანსდებიან ასაკობრივი ჯგუფები და ქალთა გუნდი.

მუნიციპალიტეტში სპორტის პრიორიტეტული სახეობებია: ფეხბურთი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, მკლავჭიდი, რაგბი, ძალისხიზა, ძი-

უდო, სამბო, ბილიარდი, კრივი, მძლეოსნობა და ტაეკვონდო.

მუნიციპალიტეტის სპორტსმენები აქტიურად მონაწილეობენ მუნიციპალურ, რეგიონულ, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებში და საუკეთესო შედეგებს აღწევენ – სხვადასხვა დროს, სპორტის სხვადასხვა სახეობაში, მათ მოპოვებული აქვთ მსოფლიო ჩემპიონის, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონის არაერთი ტიტული.

**2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი:**

**2014 წელი** – ხეთის თემის სოფელ საქირიოში მინი სპორტული მოედნის მოწყობა (30,9 ათასი ლარი); საჯიჯაოს ადმინისტრაციული ერთეულისთვის სპორტული ინვენტარის შექმნა (18,8 ათასი ლარი); შუა ხორგის თემში მინი სპორტული მოედნის რეკონსტრუქცია (38,1 ათასი ლარი); ქალაქის ადმინისტრაციული ერთეულში (ცენტრი) მინი სტადიონის სარემონტო სამუშაოები (2,9 ათასი ლარი); გურიფულის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მეორე გურიფულში მინი საფეხბურთო მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები (4,9 ათასი ლარი);

**2015 წელი** – ხობის ცენტრალური სტადიონის აღდგენის პროექტირება (12,7 ათასი ლარი); გამოღმა შუა ხორგაში არსებული მინი საფეხბურთო სტადიონის კეთილმოწყობა (1,4 ათასი ლარი); ყოფილი კინოთეატრის („თუთარჩელა“) შენობაში მრავალფუნქციური სპორტული დარბაზის მოწყობის პროექტირება (40 ათასი ლარი);

**2015-2016 წლებში** – აშენდა კულტურულ-საგანმანათლებლო და ახალგაზრდული ცენტრი, რაზეც 1 მლნ 88,7 ათასი ლარი რეგიონული განვითარების ფონდიდან დაიხარჯა.

**2016 წელს** – დაიწყო ქ. ხობის ცენტრალური სტადიონის აღდგენა (445 ათასი ლარი, რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსება). ასევე განხორციელდა: ქვემო ქვალონის ადმინისტრაციული ერთეულში სპორტული დარბაზის სველი წერტილების მოწყობა (4,9 ათასი ლარი); ახალსოფლის ადმინისტრაციული ერთეულში საფეხბურთო სტადიონის შეღობვა (16 ათასი ლარი); შუა ხორგის ადმინისტრაციული ერთეულში ცენტრალურ სტადიონზე არსებული გასახდელის შენობის სარეაბილიტაციო სამუშაოები (8,4 ათასი ლარი); ქ. ხობის სტადიონების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვა (14,4 ათასი ლარი).

**2017 წელს** – დასრულდა ხობის ცენტრალური სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები (სულ 445 ათასი ლარი). ცენტრალურ სტადიონზე განთავსდა გასახდელები, აბაზანა, საპირფარეშოები, ექთნისა და მწვრთნელის ოთახები (ორი გუნდისთვის) და დამონტაჟდა ახალი სკამები; სოფელ ხამისქურის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრში არსებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციაზე, რეგიონული განვითარების ფონდიდან, 45,7 ათასი ლარი დაიხარჯა.

**2016-2018 წლებში** – ქ. ხობში, კინოთეატრ „თუთარჩელას“ ყოფილ შენობაში, მრავალფუნქციური სპორტდარბაზის მოწყობაზე, მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2 მლნ 7464,8 ათასი ლარი დაიხარჯა (3 მლნ 201,2 ათასი ლარი), რეაბილიტაცია ამჟამადც მიმდინარეობს.

**2020 წელს დასრულდა** – მინიმოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია ხეთაში (57 ათასი ლარი), ქ. ხობში ( 26 ათასი ლარი – დათა ხურცილავას სახელობის), შავლეულში (14,9 ათასი ლარი), ყულევში (11,2 ათასი ლარი).

**ამჟამად მიმდინარეობს** მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები

სოფელ მეორე გურიფულში (98,7 ათასი ლარი).

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახეობის შიდაჩემპიონატები ჩაატარეს, სამინისტრომ ქუჩის სავარჯიშო მოწყობის მშენებლობა და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარის შექმნაც დააფინანსა, ჩატარდა სხვადასხვა სპორტული ღონისძიება. მათ შორის: 2013-2016 წლებში, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 1 შიდა ჩემპიონატი ჩაატარეს (15,2 ათასი ლარი). სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობის მშენებლობაც დააფინანსა (14,3 ათასი ლარი). ასევე სამინისტროს ჩართულობით, 2018-2020 წლებში, მუნიციპალიტეტში ჩატარდა ევროპის სპორტის კვირეული, აღინიშნა საერთაშორისო დღე – „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“.

**ახალგაზრდული პოლიტიკა**


**მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ორგანიზებით მუნიციპალიტეტში არაერთი პროექტი განხორციელდა.** მათ შორის: დედაენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, პოეზიის საათი, ევროპის დღისადმი მიძღვნილი აქტივობა; ნორჩ მხატვართა თემატური გამოფენა; ცენტრში შემავალი წრეების შემჯავებელი მეცადინეობები, ანიმაციური ფილმების ფესტივალი – „თოფუნი 2020“, მასწავლებელთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, ეკო-კლუბის აქტივობები, საახალწლო-საშობაო ზეიმი, შეხვედრების ციკლი ნიჭიერ, საქმიან ახალგაზრდებთან და გამოცდილ ადამიანებთან, პროექტი – „ჩემი ქვეყნის მეგზური ვარ“ და სხვ.

ყოველწლიური პროექტით „ეტალონი“, ინტელექტ-შეჯიბრი გაიმართა ხობში. გამოვლინდა გამარჯვებული მოსწავლე. დაფინანსდა მრავალი ახალგაზრდული პროექტი, განხორციელდა ახალგაზრდული ჯგუფების ტრანსპორტით უზრუნველყოფა.

გაიმართა არაერთი საინფორმაციო და შემეცნებითი ტრენინგი. მოთხოვნის საფუძველზე, ახალგაზრდებს გამოეყოთ ფართი **ახალგაზრდული სივრცის** მოსაწყობად.

გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ახალგაზრდობის სააგენტოსა და მერიას შორის, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდული სფეროს ეკოსისტემის შექმნას.

**ახალგაზრდული მიმართულებებით**



**ხობის მუნიციპალიტეტის ხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგა ქითანავას და ლევან ტურავას სახელობის მინი სპორტული მოედანი**

**კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტი განხორციელა:** მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში“ (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

2020 წლის ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ხობის ორგანიზაციის 1 წარმომადგენელი იყო არჩეული. სამინისტროს ჩართულობით, სხვადასხვა მიმართულებით 3 ახალგაზრდა გადამზადდა, 1-მა კი ახალგაზრდული მუშაკის სასერტიფიკატო პროგრამით დაიწყო გადამზადება. 2021 წელს ჩატარდა ახალგაზრდების საქროების კვლევა.

2021 წელს ხობის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდების გაძლიერებას, განვითარებასა და მათ აქტიურ ჩართულობას მართვის საკითხებში.

ხობელმა 8 ახალგაზრდამ მონაწილეობა მიიღო პროექტში, „**I see you-გაციანი მსოფლიო და განავითარე შენი რაიონი/ქალაქი**“-„ქართული კულტურის დღეები მესტია-2021“, რომელიც ემსახურებოდა აქტიური ახალგაზრდების ჩართულობას რაიონის/ქალაქის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზებას.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება „**ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში პროექტების ინიცირების, მათი განხილვისა და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ**“, რაც ითვალისწინებს ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებას.

**მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით ხობის მუნიციპალიტეტში შემდეგი ღონისძიებები გატარდება:**

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის

ბის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;

- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- დაგეგმილია სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაცია სოფელ პირველ ხორგაში (58,9 ათასი ლარი), საგვიჩოში (31 ათასი ლარი) და ყულევში (14,6 ათასი ლარი);
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- შემუშავდება ადგილობრივი ახალგაზრდული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ახალგაზრდული პოლიტიკის კოორდინატორად გადამზადდება ხობის მერიის ახალგაზრდული სამსახურის 2 თანამშრომელი;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

41

დავით ბუკია

ხობის მერად



განვითარება ყველა ჩემთვის

# ჩემო ძვირფასებო!

ჩემთვის დიდი პატივია, წარდგენილი ვიყო ხობის მერობის კანდიდატად.

ყველა ნათლად ვხედავთ, რომ თქვენი მხარდაჭერით, „ქართული ოცნების“ გუნდმა ბოლო წლების განმავლობაში არაერთი წარმატებული პროექტი განახორციელა, რამაც ჩვენს მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი წინსვლა მოუტანა. თქვენი თანადგომით, ჩვენ შევძლებთ ამ გზის გაგრძელებას და ჩვენი ქალაქისა თუ სოფლების პოტენციალის კიდევ უფრო მეტად განვითარებას. მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციასა და კეთილმოწყობასთან ერთად, პრიორიტეტად ვისახავთ კულტურის, განათლების, სპორტის, ახალგაზრდული მიმართულებებისა და ტურიზმის განვითარებას, სახელმწიფო პროგრამების ხელშეწყობას, ნიჭიერი ახალგაზრდების წახალისებას, უფროსი თაობის მხარდაჭერას. ჩვენი გუნდის მთავარი მიზანი თითოეული ხობელის კეთილდღეობა და მათი ინტერესების დაცვაა. სწორედ ამიტომ, ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა ადგილობრივი ხელისუფლება კიდევ უფრო დაუახლოვდეს ხალხს და მოსახლეობაც უშუალოდ ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რადგან მხოლოდ ასე, ერთიანი ძალებით შევძლებთ ჩვენს წინაშე არსებული ყველა გამოწვევის სწრაფად და ეფექტურად დაძლევის. ერთად ავაშენოთ ჩვენი მშობლიური მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის მომავალი!

თქვენი თანადგომის იმედი მაქვს და მჯერა, ერთიანი ძალით აუცილებლად გავიმარჯვებთ!

## „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქვეყნის შემდეგი წესები:



■ დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;



■ დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



■ დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;



■ დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმუდავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;



■ კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;



■ დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;



■ კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;



■ მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;



■ აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.

